დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“ფარმაციის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
7 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი
10 მაისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 18

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 23

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 32

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ფანცულაია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	**ფარმაცია**
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Pharmacy
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფარმაციის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცია 0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული გადაწყვეტილება №303281, 30/03/2021
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტირებულია 2021 წელს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ, გადაწყვეტილება №303281, 30/03/2021 აკრედიტაციის საბჭოს (№302785 სხდ. ოქმი 5, 30.03.2021) რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შედეგად მოხდა პროგრამის მოდიფიცირება.

პროგრამაში შეტანილი ცვლილებები დამტკიცებულ იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 23 მაისის N24/14 დადგენილებით. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა პროგრამაში შემავალი 3 კონცენტრაციის გათვალისწინებით, რომლებსაც აქვთ ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის სწავლის შედეგები გაიწერა ყველა კონცენტრაციისთვის ცალ-ცალკე. სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებულ იქნა სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ბიუჯეტში გაიწერა განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული/მატერიალური შევსება/განახლების, პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო მუშაობის დანახარჯების მოცულობა; თვითშეფასების ჯგუფს დაემატა დამსაქმებელი; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ წინაპირობად განისაზღვრა კომპლექსური გამოცდა, რომელიც მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების (ფარმაცევტული ტექნოლოგია, ფარმაკოლოგია, სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული ბიზნეს მენეჯმენტი და მარკეტინგი, ფარმაცევტული ქიმია, ტოქსიკოლოგიური ქიმია, ფარმაკოგნოზია) საკვანძო საკითხებს.

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი, 4 სემესტრი და ითვალიწინებს 120 ECTS კრედიტის შესრულებას, მათ შორის 90 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 30 კრედიტი კვლევით კომპონენტს. პროგრამა მოიცავს 3 კონცენტრაციას: „ფარმაცევტული ანალიზი“; „სამრეწველო ფარმაცია“; „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 284528, 13/03/2023 ბრძანების საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე), ია ფანცულაია, თამარ გვიანიშვილი, მირანდა ნონიკაშვილი (წევრები). აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 7 აპრილს დაწესებულებაში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის მოსამზადებელ პერიოდში შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დაწესებულების მიერ

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

წარდგენილი ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების მიზნით და მოამზადა შესაბამისი დასკვნის პროექტის დოკუმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

<u>კომპონენტი 1.2.</u>

- სამაგისტრო პროგრამით მისაღწევი ცოდნისა და უნარების სრულად უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა პროგრამა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის „კვლევის თანამედროვე მეთოდები“ სწავლებას, რაც სწავლის შედეგების მიღწევას გახდის რეალისტურს.

<u>კომპონენტი 1.4.</u>

- დასაზუსტებელი და დასაკორექტირებელია პროგრამაში ჩანაწერი სასწავლო კომპონენტის მოცულობასთან დაკავშირებით, უკანასკნელის მოცულობა განისაზღვროს ნაცვლად 60 კრედიტისა 70 კრედიტით.
- რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამაში კვლევის დიზაინის, დაგეგმვის, კვლევის თანამედროვე მეთოდების, მიღებული შედეგების დამუშავების, კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების მომცველი კურსის სწავლება.

<u>კომპონენტი 2.1.</u>

- რეკომენდებულია დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ მომიჯნავე სფეროების ბაკალავრიატის მისანიჭებელი კვალიფიკაციები ან დეტალურად გაიწეროს და დაკონკრეტდეს არამომიჯნავე სფეროს წარმომადგენლის მიღების შემთხვევაში მისაღებ გამოცდებზე საგნების მიხედვით აპლიკანტთა შესაბამისი კომპეტენციები.

<u>კომპონენტი 3.2.</u>

- ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, თუ როგორ იმუშაონ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან და რომელი ბაზები შეესაბამება მათ სფეროს, რაც შესაძლოა მიღწეულ იქნას ფაკულტეტისა და დეპარტამენტის მუშაობის გაძლიერებით, სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებით საბიბლიოთეკო რესურსების საჭიროების, მათი გამოყენების მნიშვნელობის, ციტირების წესების და ა.შ. შესახებ.

<u>კომპონენტი 4.4</u>

- რეკომენდებულია ბიბლიოთეკისა და სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების უახლოესი გამოცემებით განახლება;

- o რეკომენდირებულია პროგრამის ინფრასტრუქტურისა და არსებული ლაბორატორიული ბაზის განახლება.

<u>კომპონენტი 5.2.</u>

- o რეკომენდებულია სრულად მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ (გადაწყვეტილება MES 5 21 0000303281, 30/03/2021) განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

<u>კომპონენტი</u> 1.1

- o გათვალისწინებულ იქნას პროგრამაში შემავალი სამივე კონცენტრაციის მიზნების ჩამოყალიბება ცალცალკე.

<u>კომპონენტი</u> 1.2

- o პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ფორმულირება სასურველია სამი კომპეტენციის „ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ სახით.

<u>კომპონენტი</u> 1.3

- o მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განისაზღვროს არა უნიფიცირებული (ყველა შედეგისთვის ერთნაირი) სამიზნე ნიშნულები, არამედ გათვალისწინებულ იქნეს როგორც რეალური მონაცემები, ისე სწავლის შედეგისა და მისი მიღწევის დადასტურების მიზნით გამოყენებული შეფასების კომპონენტების სპეციფიკა.

<u>კომპონენტი</u> 1.4

- o სასურველია სამაგისტრო პროგრამაში არადარგობრივი არჩევით სასწავლო კურსების შეთავაზება სტუდენტისათვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

<u>კომპონენტი</u> 1.5

- o სასურველია განახლდეს სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სია და წარმოდგენილი იქნას უახლესი გამოცემებით.

<u>კომპონენტი</u> 2.3

- o აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის კომპონენტების განხორციელების პროცესში გამოყენებულ იქნას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები (PBL, Case study).

<u>კომპონენტი 2.4.</u>

- o კურიკულუმსა და სილაბუსებში დადებითი და უარყოფითი შეფასების ფორმულირებები დაზუსტდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანებაში "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" ბოლო ცვლილებების შესაბამისად.

<u>კომპონენტი</u> 3.1

- o წაახალისეთ სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში: სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მოტივაციის ასამაღლებლად რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სტუდენტების ჩართულობის წახალისებით საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში.

<u>კომპონენტი</u> 4.3

- o მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გაცნობის მიზნით პერსონალის დამატებით გადამზადება.
- o პერსონალის CV და შესაბამისი მტკიცებულებების განახლება.

კომპონენტი 5.2.

- სასურველია, რომ პერიოდულად პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობის შენარჩუნებას და განვითარებას.

კომპონენტი 5.3.

- მიზანშეწონილია ჩატარებული გამოკითხვების (დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლის) შედეგები იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომელშიც იქნება იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები, გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები და სხვ.;
- მიზანშეწონილია, რომ შრომის ბაზარის კვლევის დოკუმენტის მეშვეობით იყოს შესაძლებელი პროგრამის განვითარებისთვის გასათვალისწინებელი ასპექტების დადგენა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5] –**
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე -**

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

კომპონენტი 1.2; კომპონენტი 1.4.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, ფარმაციის პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსები ორიენტირებულია კვლევის თანამედროვე მეთოდებზე, ხოლო კვლევების დიზაინსა და კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების მომცველი კურსის სწავლებასთან დაკავშირებით თვითშეფასების ჯგუფი პროგრამის განვითარების ციკლის ფარგლებში აუცილებლად იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე,

სასწავლო კომპონენტის მოცულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, დაწესებულება აღიარებს უზუსტობას, როგორც ტექნიკურ ხარვეზს და მზადაა უკანასკნელის დასაკორექტირებლად. ამდენად, აღნიშნულ ეტაპზე სტანდარტის 1.2. და 1.4. კომპონენტების შეფასება რჩება უცვლელი.

კომპონენტი 2.1.

დაწესებულება მიიჩნევს, რომ არსებული მისაღები გამოცდის მეშვეობით აპლიკანტები, მათ შორის, არამომიჯნავე სფეროს წარმომადგენლებიც, ადასტურებენ თავიანთ კომპეტენციებს ფუნდამენტურ ფარმაცევტულ დისციპლინებში, რაც დამატებითი რეგულაციების შემოღების აუცილებლობას გამორიცხავს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასების თანახმად, არამომიჯნავე სფეროს წარმომადგენლის შემთხვევაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების აპლიკანტის შერჩევის უზრუნველსაყოფად, საჭიროა დეტალურად გაიწეროს და დაკონკრეტდეს მისაღები გამოცდების პირობები, ამდენად, რეკომენდაცია დასკვნაში შენარჩუნებულია.

კომპონენტი 3.2.

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, სტუდენტებისთვის სხვადასხვა აუცილებელი სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, ფაკულტეტი გააძლიერებს მონიტორინგს სტუდენტების ინფორმირებისა და ტრენინგებში მონაწილეობის კუთხით. სტუდენტთა ინტერვიურების შედეგების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ექსპერტთა შეფასება რჩება უცვლელი.

კომპონენტი 4.4

არგუმენტირებული პასუხის თანახმად, პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით, ამ უკანასკნელის განახლება მუდმივი პროცესია და წარმოადგენს ზრუნვის საგანს, რეკომედაცია რჩება უცვლელად.

კომპონენტი **5.2.**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

მეტი სიცხადისთვის განვმარტავთ, რომ დასკვნის პროექტში გაცემული რეკომენდაციის *„რეკომენდებულია სრულად მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ (გადაწყვეტილება MES 5 21 0000303281, 30/03/2021*) განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება“ საფუძველი გახდა შემდეგი გარემოებები:

1) საბჭოს რეკომენდაცია *„რეკომენდებულია, მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების პროცესის გაგრძელება/ეფექტურობა“* გარკვეულწილად შესრულებულია - ამ ეტაპზე რიგ შემთხვევებში სარემონტო სამუშაოები და ტექნიკური აღჭურვა დასრულებულია, რიგ შემთხვევაში კი მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები (დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის დანართებით - მიღება-ჩაბარების აქტებით).

2) რაც შეეხება საბჭოს რეკომენდაციას: *„ჩამოყალიბდეს და დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომებს პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოიყვანს“* – რეკომენდაციის გაცემის თარიღია 30/03/2021, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის დამტკიცების თარიღია 14/08/2020 (ანუ, რეკომენდაციის გაცემამდე, 30/03/2021 წლამდე), რაც გამორიცხავს დაწესებულების მიერ 2020 წელს დამტკიცებული დოკუმენტით 2021 წელს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ საბჭოს რეკომენდაციის გაცემის შემდგომ მსგავსი დოკუმენტი იყო შემუშავებული, რაც ასევე დასტურდება დაწესებულების არგუმენტირებული პასუხით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში მოცემული რეკომენდაცია „რეკომენდებულია სრულად მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ (გადაწყვეტილება MES 5 21 0000303281, 30/03/2021) განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება“ და სტანდარტის კომპონენტის შეფასება რჩება უცვლელი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) მისია ითვალისწინებს „შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა“.

წარმოდგენილი ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას და ემსახურება აღნიშნულის განხორციელებას პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და მიმართულია მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებისაკენ. პროგრამის მიზნებია:

1. სამაგისტრო პროგრამის მიზანია ფარმაცევტული დისციპლინების სიღრმისეული შესწავლა;
2. ფარმაციის პრაქტიკოსი და სამეცნიერო-კვლევითი უნარების მქონე კადრების მომზადება, რომლებიც მიიღებენ ღრმა და სისტემურ ცოდნას და შეძლებენ დამოუკიდებლად მუშაობას ფარმაცევტული ანალიზის, სამრეწველო ფარმაციის, ფარმაცევტული კოსმეტოლოგიისა და პარფიუმერიის მიმართულებით;
3. სათანადო უნარების გამომუშავება და ფარმაციის სფეროში მუშაობისათვის მომზადება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

აკრედიტაციის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებიათა შორის თანახმად პროგრამის მიზნის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო პროგრამაში შემავალი სამივე კონცენტრაცია და თითოეული კონცენტრაციის მიზნები უნდა ნათლად ჩამოყალიბებულიყო. რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ: <u>პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია სამივე კონცენტრაცია, თუმცა კონცენტრაციებს არ აქვთ ცალკე ჩამოყალიბებული მიზნები - იხ. პროგრამის კურიკულუმი („პროგრამის მიზნები“).</u>

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი, პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გათვალისწინებულ იქნას პროგრამაში შემავალი სამივე კონცენტრაციის მიზნების ჩამოყალიბება ცალცალკე.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას (შემდგომში - პროგრამა) აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომელიც ფარავს პროგრამით გათვალისწინებული სამივე კონცენტრაციის მიზნებს, კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგები მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რის საფუძველზეც ფარმაციის მაგისტრს შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება ფარმაციის სფეროში, ფარმაცევტულ კომპანიაში, აფთიაქში, ფარმაცევტულ საწარმოში, წამლის ხარისხის კონტროლის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ლაბორატორიაში, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, წამლის სააგენტოში, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და ლაბორატორიებში, კოსმეტიკურ „სპა“ და ესთეტიკურ ცენტრებში, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვაში.

პროგრამის ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერით დადგენილ მახასიათებლებს.
პროგრამის თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგებია:

<u>კონცენტრაცია 1-</u> ფარმაცევტული ანალიზი

- ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აღწერს ფარმაცევტული ანალიზის, სამკურნალო მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის კვლევის და დაგეგმვის მიმართულებებს, ფლობს ნივთიერებებისა და მასალების სინთეზის, კვლევის, მედიკამენტების ხარისხის კონტროლის თანამედროვე მიდგომებს.

➢ იყენებს სამკურნალო პრეპარატების თვისებითი და რაოდენობითი ანალიზის, წამალთა ანალიზის ინსტრუმენტულ მეთოდებს, პრაქტიკული სამუშაოების წარმოებისათვის რეკომენდირებულ ხელსაწყოებს, ფარმაკოპეებში მოცემულ ზოგად და კერძო სტატიებს, სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაციის, მცენარეთა ანალიზის ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიური მეთოდებს;

<u>კონცენტრაცია 2-</u> სამრეწველო ფარმაცია

➢ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიოფარმაციის, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნების მოწყობილობების, ფარმაცევტული პრეპარატების საქარხნო ტექნოლოგის, ფარმაცევტული მიკრობიოლოგიის სამრეწველო ბიოტექნოლოგიის, სამკურნალო საშუალების (ფარმაცევტული პროდუქტის) ხარისხის შეფასების მიმართულებით;

➢ იყენებს ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში მიღებულ ცოდნას რეცეპტურის სწორად შედგენის, ფარმაკოლოგიური ჯგუფების დახასიათების, მოქმედების მექანიზმების გასანალიზებლად, საწარმოებსა და საწარმოებთან არსებულ ლაბორატორიებში სამკურნალო საშუალებებისა და სუბსტანციების სტანდარტიზაციის, აგრეთვე ახალი სამკურნალო ფორმების შემუშავების მეთოდებს.

<u>კონცენტრაცია 3-</u> ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია

➢ აქვს სამედიცინო მიკრობიოლოგიის და დერმატოლოგიის, პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების შემუშავების ტექნოლოგიების და სტანდარტიზაციის, თავისებურებების, ცოცხალ ორგანიზმზე პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების ზემოქმედების და მათი ეფექტურობის განსაზღვრის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა.

➢ იყენებს მიკროორგანიზმების (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) და მცენარეების მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ კანონზომიერებებს - პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების ხარისხის კონტროლის მიმართულებით, კოსმეტოლოგიასა და პარფიუმერიაში არსებულ აპრობირებულ და ინოვაციურ მეთოდებს.

სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი და შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: კვალიფიციური ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელება, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეოდებისა და მიდგომების გამოყენებით და სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.

თუმცა მისაღწევი ცოდნისა და უნარების სრულად უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა პროგრამაში ისწავლებოდეს „კვლევის თანამედროვე მეთოდები“ სასწავლო კურსის სახით, რაც სწავლის შედეგების მიღწევას გახდის რეალისტურს.

სწავლის შედეგები შეესაბამება ფარმაციის დარგის სპეციფიკას, განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, დაინერგა პროგრამის შედეგების შეფასება სამიზნე ნიშნულების გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ვებ. გვერდი: www.gtu..ge;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამით მისაღწევი ცოდნისა და უნარების სრულად უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა პროგრამა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის „კვლევის თანამედროვე მეთოდები“ სწავლებას, რაც სწავლის შედეგების მიღწევას გახდის რეალისტურს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ფორმულირება სასურველია ცალცალკე სამი კომპეტენციის „ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებ-ლობა და ავტონომიურობის“ სახით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და მათ გამოყენებას აღწერს დაწესებულების მიერ წარმოდგეილი დოკუმენტები „სწავლის შედეგების მექანიზმები. ფარმაცია“, რომლის თანახმად „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელ დოკუნტებზე დაყრდნობით, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე შემუშავდა და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის გარკვეული მექანიზმები, რომლებიც გამჭვირვალეს და თანმიმდევრულს ხდის ხარისხის დაგეგმვისა და შეფასების პროცესებს“. დოკუმენტების „სწავლის შედეგების მექანიზმები ფარმაცია“ და „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“. სამოქმედო გეგმა (ძირითადი მიმართულებები)“ თანახმად, პროგრამის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი მეთოდები (სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით), ისე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები (მაგ., სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მიერ შედეგების შეფასება).

პროგრამის შედეგების მიღწევისათვის მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნევა ისეთი ასპექტების ურთიერთშესაბამისობის დადგენა, როგორიცაა: 1) მისია და პროგრამის მიზნები; 2) პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები; 3) პროგრამის სწავლის შედეგები და პროგრამის შინაარსი (პროგრამის კომპონენტები და მათი როლი (საფუძვლების შექმნა, გაღრმავება, განმტკიცება) შედეგების მიღწევაში). ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების მღწევის დადგენისთვის გამოიყენება სწავლის შედეგებისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათი მიღწევის შესწავლა-ანალიზი.

გასათვალისწინებელია, რომ პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წელს (30/03/2021). შესაბამისად, ამ ეტაპზე სრულად ვერ იქნებოდა გამოყენებული პროგრამის შედეგების შეფასების ყველა მექანიზმი და შეუძლებელია მათი გამოყენების ხარისხის შეფასება/დადასტურება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ განხორციელდა:

1) მისიისა და პროგრამის მიზნების ურთიერთშესაბამისობის დადგენა (იხ.: „სწავლის შედეგების მექანიზმები“, გვ. 4-5 - პროგრამის მიზნების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან);

2) პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების ურთიერთშესაბამისობის დადგენა (იხ.: „სწავლის შედეგების მექანიზმები“, გვ. 9-11 - პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნების რუკა; პროგრამის კურიკულუმის დანართი #2 „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა“);

3) პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის ურთიერთშესაბამისაობის დადგენა (იხ.: „სწავლის შედეგების მექანიზმები“, გვ. 13-15 - პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა; პროგრამის კურიკულუმის დანართი #1 - პროგრამის სწავლის შედეგები). ასევე, განისაზღვრა

პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების როლი (საფუძვლების შექმნა, გაღრმავენა, განმუკიცება);

4) პროგრამის თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენა (იხ.: „სწავლის შედეგების მექანიზმები“, გვ. 35-37 - პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნული).

სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე პროგრამის დაძლევის (შედეგების მიღწევის) კონტროლის მექანიზმად გამოინებება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, რაც ასახულია დოკუმენტში „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ 2021/22 სწ-ის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტის თანახმად (იხ. „პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნული“), სწავლის სხვადასხვა შედეგისთვის დადგენილი მაჩვენებლებია არის „> = 60% / > = 65%“ (შედეგს მიაღწევს სტუდენტთა 65%). ამავე დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსისთვის მითითებულია ინდივიდუალური მაჩვენებელი. ამავდროულად, დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“ (იხ. პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნული) ყველა შედეგისთვის განსაზღვრულია უნიფიცირებული მაჩვენებლები „>= 70%“ (შედეგს მიაღწევს სტუდენტთა 70%). ვიზიტის დროს ექსპერტებს მიეცათ განმარტება, რომ სამიზნე ნიშნულები „>=60% / >=65%“ ეყრდნობა თითოეული სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსში მიღებულ შედეგებს (აკადემირი მოსწრების მაშვენებელს), თუმცა ყველა შედეგისთვის დადგენილ უნიფიცირებულ მაჩვენებელთან („>= 70%“) დაკავშირებით დასაბუთებული განმარტება არ ჰქონდათ. მომავალში მიზანშეწონილია, რომ სამიზნე ნიშნულების დადგენისას განისაზღვროს არა უნიფიცირებული (ყველა შედეგისთვის ერთნაირი) სამიზნე ნიშნულები, არამედ გათვალისწინებულ იქნეს როგორც რეალური მონაცემები, ისე სწავლის შედეგის სპეციფიკა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (იხ.: „სწავლის შედეგების მექანიზმები. ფარმაცია“, გვ. 19-31 - პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ 2021/22 სწ-ის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“) თანახმად, იმისათვის, რომ სწავლის შედეგები გახდეს გაზომვადი გამოიყენება Performanc Indicators (PI) – რაშიც მოიაზრება კონკრეტული უნარი/ცოდნა, რომლის დემონსტრირების შედეგად დასტურდება, რომ სტუდენტმა მიაღწია დასახული სწავლის კონკრეტულ შედეგს. თითეულ სწავლის შედეგისათვის დგინდება რამოდენიმე Performanc Indicators (PI), რომელთა გაზომვაც შესაძლებელია სასწავლო კურსების მეშვეობით. Performanc Indicators შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას პირდაპირი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები მათ შორის: სასწავლო კურსის დასკვნითი ან შუალედური გამოცდა, ტესტი, ქვიზი, საშინაო დავალება და სხვ.

დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად, პროგრამის შედეგების შეფასებისთვის მონაცემთა შეგროვება მოხდება ორჯერ აკადემიური წლის განმავლობაში (სემესტრულად), მონაცემების ანალიზი წარმოადგენს პროგრამის შეფასების გეგმის განუყოფელ ნაწილს, თითოეული სწავლის შედეგი გაიზომება (შეფასდება) სამ წელიწადში ერთხელ, შედეგების იქნება გამოყენებული პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის ან კორექტირების შესატანად საჭირო ქმედებების დაგეგმისას (იხ.: „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ფარმაცია“, გვ. 17 - პროგრამის შეფასების და გადახედვის ციკლი).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამის შედეგების შეფასება სამიზნე ნიშნულების გამოყენების გამოყენებით - ახალი დანერგილი მექანიზმია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი დანერგვა და ვერ მოხდებოდა მისი სრულად გამოყენება, მომავალში ეს მექანიზმი აქტიურად იქნება გამოყენებული და არსებობს ამ მექანიზმის შემდგომი განვითარების ხედვა - სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა როგორც სასწავლო კურსების, ისე იმ დავალებების დონეზე, რომლებითაც ხდება დაგეგმინო შედეგის მიღწევის დადასტურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სწავლის შედეგების მექანიზმები. ფარმაცია“;
- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ 2021/22 სწ-ის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“;
- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“. სამოქმედო გეგმა (ძირითადი მიმართულებები)“ (დამტკიცებულია ფარმაციის დეპარტამენტი მიერ, ოქმი №9, 19.03.2022);
- პროგრამის კურიკულუმის დანართები (დანართი #1 - პროგრამის სწავლის შედეგები; დანართი #2 „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა“);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განისაზღვროს არა უნიფიცირებული (ყველა შედეგისთვის ერთნაირი) სამიზნე ნიშნულები, არამედ გათვალისწინებულ იქნეს როგორც რეალური მონაცემები, ისე სწავლის შედეგისა და მისი მიღწევის დადასტურების მიზნით გამოყენებული შეფასების კომპონენტების სპეციფიკა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის” თანახმად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერით დადგენილ სტანდარტებს. პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება „ფარმაციის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად - ECTS, 1 კრედიტი შეესაბამება 25საათს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანამიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; პროგრამის 120 კრედიტი მოიცავს: 90 კრედიტი სასწავლო კომპონენტს, 30 კრედიტი – კვლევით კომპონენტს.

პროგრამა მოიცავს: 1. ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს 50 (ECTS) კრედიტი და 2. კონცენტრაციებს:

კონცენტრაცია 1- „ფარმაცევტული ანალიზი“,

კონცენტრაცია 2 „სამრეწველო ფარმაცია“,

კონცენტრაცია 3 „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“.

თითოეული კონცენტრაცია გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხებზე ფოკუსირებით) - **თითოეული კონცენტრაციის** მოცულობა პროგრამის წარმოდგენილი ვერსიის თანახმად შეადგენს **60 (ECTS)** კრედიტს, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვის კომპონენტის გათვალისწინებით; სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სურვილის შესაბამისად, არსებული კონცენტრაციებიდან, აირჩიოს ერთერთი. კონცენტრაციის განუყოფელი ნაწილია კვლევითი კომპონენტი, რომელიც სრულდება არჩეული კონცენტრაციის თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. პროგრამის სტრუქტურის შესწავლის შედეგად ჩანს, რომ რეალურად თითოეული კონცენტრაციის მოცულობაა 70 კრედიტი, რომელთაგან 10 კრედიტი ისწავლება პროგრამის მეორე სემესტრში, 30 კრედიტი -პროგრამის მე-3 სემესტრში, ხოლო პროგრამის მე-4 სემესტრის 30 კრედიტი სრულად ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, დასაზუსტებელი და დასაკორექტირებელია პროგრამაში ჩანაწერი სასწავლო კომპონენტის კრედიტ მოცულობასთან დაკავშირებით.

პროგრამიის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების განვითარებას, თუმცა სასწავლო კურსებს შორის არ მოიაზრება ცალკე კურსი, რომლის შინაარსი ითვალისწინებს კვლევის დიზაინის, დაგეგმვის, კვლევის თანამედროვე მეთოდების, მიღებული შედეგების დამუშავების, კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების სწავლებას. ამასთანავე, სამაგისტრო პროგრამა არ ითვალისწინებს არადარგობრივ არჩევით სასწავლო კურსებს სტუდენტისათვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. დაწესეებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- სტუ–ის ვებგვერდი: www.gtu.ge.

რეკომენდაციები:

- დასაზუსტებელი და დასაკორექტირებელია პროგრამაში ჩანაწერი სასწავლო კომპონენტის მოცულობასთან დაკავშირებით, უკანასკნელის მოცულობა განისაზღვროს ნაცვლად 60 კრედიტისა 70 კრედიტით.
- რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამაში კვლევის დიზაინის, დაგეგმვის, კვლევის თანამედროვე მეთოდების, მიღებული შედეგების დამუშავების, კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების მომცველი კურსის სწავლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაში არადარგობრივი არჩევით სასწავლო კურსების შეთავაზება სტუდენტისათვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ არის შესაბამისობაში**

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) თითოეული სასწავლო კურსის, მათ შორის სამივე კონცენტრაციებში შემავალი კურსების შინაარსი და შედეგები სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკა. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც ასახულია სილაბუსებში და ცნობილია მაგისტრებისთვის. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურადაა აღწერილია სილაბუსებში.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა განახლებულია, დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, როგორც თვითშეფასებიდან და ინტერვიუდან ირკვევა მხოლოდ 64%-ია უკანასკნელ ათწლეულში გამოცემული. სტუ–ის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს ფარმაციის მაგისტრებისთვის საჭირო სახელმძღვანელოებს, სტუ ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის კატალოგი http://gtu.ge/Library/
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია განახლდეს სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სია და წარმოდგენილი იქნას უახლესი გამოცემებით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები „(სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი ფართო სფეროებიდან: 09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა; 06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა; 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; 08 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია), რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. გარდა ამისა, წინაპირობად განსაზღვრულია სტუ-ს მიერ განსაზღვრული სპეციალობის გამოცდა - (კომპლექსური გამოცდა, რომელიც მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების საკვანძო საკითხებს)“. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ ძალიან კარგია ფართო სპექტრის მქონე სფეროებიდან სტუდენტების მიღება, მეორეს მხრივ სამაგისტრო პროგრამის დაძლევა სტუდენტისსთვის სპეციფიკური დისციპლინების გარკვეულ დონეზე შესწავლის გარეშე შეუძლებელია. ამდენად, ექსპერტთა პანელი მიიჩნევს, რომ მოხდეს სფეროების ან სპეციალობების მეტად დაკონკრეტება დაშვების წინაპირობებში.

დაწესებულება აგრეთვე მოითხოვს უცხოური ენის ცოდნის დამდასტრებელ სერტიფიკატს („არანაკლებ B2 დონე“), თუ დოკუმენტი არ გააჩნია, საჭიროა გაიაროს სტუ-ს მიერ ორგანიზებულ კომპიუტერულ ცენტრში გამოცდა უცხო ენაში.

უნივერსიტეტის მიერ საქართველოში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში ხორციელდება გარე და შიდა მობილობა, რომლის წესები საჯაროა და გამჭვირვალე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანამათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ (დანართი 1);
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) (დანართი 1);
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი https://gtu.ge/Ctmf/
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 13);
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ მომიჯნავე სფეროების ბაკალავრიატის მისანიჭებელი კვალიფიკაციები ან დეტალურად გაიწეროს და დაკონკრეტდეს არამომიჯნავე სფეროს წარმომადგენლის მიღების შემთხვევაში მისაღებ გამოცდებზე საგნების მიხედვით აპლიკანტთა შესაბამისი კომპეტენციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ფარმაციის“ სამაგისტრო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა), სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში ჩართვას. წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით თითოეული პროფილური დისციპლინის სწავლება თეორიულ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოს შესრულებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიები მოითხოვს განახლებას და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას.

პროგრამის განხორციელების პროცესში შეთავაზებულია პროფესიული პრაქტიკები, რომლის მიზანია საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განივითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები. პრაქტიკული უნარების

განვითარება შესაძლებელია ფარმაცევტული კომპანიების (შპს „ავერსი-ფარმა“, „პსპ-აფთიაქი“, „გეფა“, შპს „აფთიაქი #34“, შპს „აფთიაქი კრწანისი“, აფთიაქი„ნატუროპათი'', „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრი“ და სხვა), მათთან გაფორმებული მემორანდუმისა და ხელშეკრულებების საფუძველზე.

დაწესებულების ვებ-გვერდზე ქვეყნდება განახლებული ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველა დაინტერესებულმა სტუდენტმა.

როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა სტუდენტი იღებს „თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისგან“.

გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მონაწილეობას იღებენ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. ყოველწლიურად გაზაფხულზე დაწესებულებაში „სტუდენტური დღეები“ ფარგლებში ეწყობა სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია, სადაც აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს „Erasmus+“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან (დანართი 9);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 13);
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) (დანართი 1);
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“; (დანართი 1);
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი https://gtu.ge/Ctmf/
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასებიდან და სილაბუსებიდან ჩანს, რომ „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში - პროგრამა) გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გაწერილია მრავალფეროვანი სწავლა/სწავლების მეთოდების გამოყენება, სასწავლო კურსები შემუშავებულია მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული, საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია. ასევე დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ჯგუფური (collaborative) მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, დედუქციური, ინდუქციური, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. თუმცა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიურების დროს პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების Case study გამოყენება არ დადასტურდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
- სტუ-ის ვებგვერდი: www.gtu.ge
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის კომპონენტების განხორციელების პროცესში გამოყენებულ იქნას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები (PBL, Case study).

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის კომპონენტებში სტუდენტის შეფასების სისტემა კანონმდებლობის შესაბამისი და გამჭვირვალეა, შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძ. #3, 5.01.2007 შესაბამისად და ექვემდებარება სტუ-ის რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს. თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ"

შესაბამისად კურიკულუმსა და სილაბუსებში დადებითი და უარყოფითი შეფასების ფორმულირებები დასაზუსტებელია მე-3 ბრძანების ბოლო ცვლილებების თანახმად, კერძოდ:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კომპონენტთან მიმართებაში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და იძლევა მიღწევების შეფასების საშუალებას როგორც ცალკეულ კომპონენტებში, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებში. შეფასების ფორმები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და ხელმისაწვდომია სილაბუსებში, სტუდენტს შეუძლია გაეცნოს სასწავლო კურსის შესწავლის დაწყებისთანავე. სტუდენტის შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: წერითი გამოკითხვა, ქვიზი, ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება ღია და დახურული კითხვებით, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალების შეფასება და სხვ.

მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტს აქვს დაწესებულების ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
- სტუ-ის ვებგვერდი: www.gtu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კურიკულუმსა და სილაბუსებში დადებითი და უარყოფითი შეფასების ფორმულირებები დაზუსტდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანებაში "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" ბოლო ცვლილებების შესაბამისად.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტზე ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სტუდენტებისთვის საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები პროგრამის მიმდინარეობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს სტუდენტთა ყოვლისმომცველი მხარდაჭერა მათი აკადემიური მიღწევების, კარიერული განვითარების და პიროვნული ზრდის გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო და დამხმარე მომსახურების კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება მოხდა რამდენიმე საფეხურის მეშვეობით. პირველ რიგში, თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე დასტურდება რომ წარმოდგენილი პროგრამის მიერ შემოთავაზებული სტუდენტების საკონსულტაციო და დამხმარე სერვისების ყოვლისმომცველი მიმოხილვა და მათი ეფექტურობა სტუდენტების მხარდაჭერაში. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. თუმცა, უნივერსიტეტში ადგილზე ვიზიტისას საინფორმაციო დაფებზე კონსულტაციის განრიგის ან სხვა მსგავსი ინფორმაცია ვერ ინახა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების დროს ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლების, ფარმაციის დეპარტამენტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ აღინიშნა რომ ისინი თავად უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის, რაც ინტერვიუს დროს სტუდენტებმაც დაადასტურეს.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს კმაყოფილება, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე აკადემიური პერსონალის მიმართ და ასევე დაადასტურეს რომ მათ დასაქმების პროცესში უნივერსიტეტი და ფაკულტეტი აქტიურად არის ჩართული.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, თვითშეფასების დანართის სახით, ისეთ დოკუმენტებს როგორიცაა ფაკულტეტის დებულება, სამოქმედო გეგმა, მაგისტრატურის დებულება და ა.შ. აღსანიშნავია რომ სამოქმედო გეგმაში ასახულია სტუდენტური სერვისების განვითარება, რაც მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის გაძლიერებისთვის მომავალში.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს შეფასდა პროგრამის ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიული რესურსი. ასევე შემოწმდა ისეთი ელექტრონული ბაზები როგორიცაა https://vici.gtu.ge/ და ელექტრონული სწავლების სისტემა (https://elearning.gtu.ge), რომელიც სტუდენტებისთვის შესაძლებლობას იძლევა ისარგებლონ ელექტრონული კანცელარიით, ნახონ საკუთარი კურიკულუმი და სემესტრული ცხრილები, ასევე პირადი ინფორმაცია, გააგზავნონ და მიიღონ შეტყობინებები და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართული და დაინტერესებული ყველა მხრიდან აღინიშნა ინფრასტრუქტურის და სასწავლო-სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების აუცილებლობა და არსებული ლაბორატორიული ბაზის განახლება.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს ნაკლები მოტივაციის შესახებ კონფერენციებსა თუ სხვა სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ. ინტერვიუზე მყოფ სტუდენტებს ნაკლები გამოცდილება ჰქონდათ სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის, ასევე საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის და სასურველი იქნება ამ მხრივ ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების დაინტერესებას სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. თუმცა, აღსანიშნავია რომ პროგრამის განმახორციელებლები მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაში არიან დამსაქმებლებთან, მეტწილად ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ უმსხვილეს კომპანიებთან და კურსდამთავრებულთა უმრავლესობაც ამ მიმართულებით არიან დასაქმებული, ასევე მაგისტრანტებისთვის არსებობს სასტიპენდიო კონკურსი, რომელშიც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სტუდენტებსა და შპს „ავერსი ფარმა“, შპს „პსპ ფარმა“, სს „გეფა“, წარჩინებულ სტუდენტებს უნიშნავს სტიპენდიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დებულება
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- ფაკულტეტის ვებ - გვერდი https://gtu.ge/
- ელექტრონული ბაზები როგორიცაა https://vici.gtu.ge/ და ელექტრონული სწავლების სისტემა https://elearning.gtu.ge
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- წაახალისეთ სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში: სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მოტივაციის ასამაღლებლად რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სტუდენტების ჩართულობის წახალისებით საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო პროგრამის უმნიშვნელოვანესი ასპექტია და სამეცნიერო ხელმძღვანელის როლი სასიცოცხლოდ გადამწყვეტია მისი წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად პირველ ეტაპზე მოხდა თვითშეფასების ანგარიშის გაცნობა, რომლის თანახმადაც, ფარმაციის მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და აქვს შერჩეული თემების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი რეგულირდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით, სადაც გაწერილია მხარეების უფლება-მოვალეობები.

პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კონცენტრაციების შერჩევასთან ერთად შესაძლებელია მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემის შერჩევა, რაც ხდება პირველი კურსის მე-2 სემესტრში, ამის შემდეგ მაგისტრანტს აქვს უფლება დაარედაქტიროს სათაური და დააკონკრეტოს სამუშაოს შინაარსი და მოცულობა. ასევე შესაძლებელია თემის შეცვლაც და ხელმძღვანელის შეცვლაც, შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილებით, სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ხდება სწავლების ბოლო მე-4 სემესტრში.

პროგრამაში ჩართული სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია დამატებით დასტურდება მათი CV-ებით, ასევე სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც აღნიშნავდნენ რომ სამუშაო პროცესში ხელმძღვანელთან კომუნიკაცია იყო მარტივი და მათი ხელმისაწვდომობაც და ასევე სტუდენტებისთვის გაწეული დახმარების ხარისხიც იყო მაღალი.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბოლო 2 წელში შესრულებულ რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომს, რის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო ნაშრომები მეტწილად ფოკუსირებულია ლიტერატურის მიმოხილვასა და კვლევის შედეგებზე, ნაშრომებში არ ჩანს კვლევის მიზანი, ჰიპოთეზა, კვლევის ამოცანები, კვლევის მეთოდები, გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში არ არის ცხადი შიდა ტექსტური ციტირება ნაშრომში, თუმცა გამოყენებულ ლიტერატურაში რელევანტური წყაროები მითითებულია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება, რომ პროგრამა ამ მიმართულებითაც გაძლიერდეს და ან რომელიმე კონკრეტული კურსის ფარგლებში დაემატოს კვლევის მეთოდების/კვლევის დიზაინის კურსი რომელიც მაგისტრანტებს დაეხმარება, ამ მიმართულებით უნარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში.

ამასთან, ინტერვიუს დროს სტუდენტების მიერ გამოიკვეთა რომ სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის გამოცდილება თითქმის არ ჰქონიათ, აქვთ ინფორმაცია რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შესაძლებელია სამეცნიერო ბაზებში მუშაობა, თუმცა მათი დარგისთვის რომელი ბაზებია რელევანტური ამ მიმართულებით ნაკლებად ჰქონდათ ცოდნა, შესაბამისად საჭიროა რომ გაძლიერდეს ფაკულტეტისა და დეპარტამენტის მხრიდან ამ მიმართულებით სამუშაოები და

სტუდენტებს მიეწოდოს ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსის საჭიროების შესახებ, მათი გამოყენებისა მნიშვნელობის, ციტირების წესების და ა.შ.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**17**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**21**
თანაფარდობა	**0, 8**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ;
- ხელმძღვანელების CV და კვლევები;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- ფაკულტეტის ვებ - გვერდი https://gtu.ge/Ctmf/
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, თუ როგორ იმუშაონ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან და რომელი ბაზები შეესაბამება მათ სფეროს, რაც შესაძლოა მიღწეულ იქნას ფაკულტეტისა და დეპარტამენტის მუშაობის გაძლიერებით, სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებით საბიბლიოთეკო რესურსების საჭიროების, მათი გამოყენების მნიშვნელობის, ციტირების წესების და ა.შ. შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ

ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები, მათი პროფესიული კომპეტენცია და გამოცდილება შესაბამისია, როგორც პროგრამის მიზნებთან მიმართებაში, ასევე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის სწავლების უზრუნველყოფისთვის. პროგრამის განხორციელებაში უსდ ჩართული ჰყავს 19 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 7 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 2 მოწვეული პროფესორი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, თანაფარდობა (19/2) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და პროგრამის მდგრადობას;

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია კვალიფიკაცია შეესაბამება სასწავლო კომპონენტების შინაარსს და დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით.სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება შესაბამისი საანგარიშო პერიოდში პერსონალის განახლება არ განხორციელებულა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**19**	**15**	**15**	**19**
- პროფესორი	10	9	9	9
- ასოცირებული პროფესორი	7	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	2		2	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის ხელშეწყობით. პროგრამას ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სტუ-ს შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების პირადი საქმეები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოთხოვნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის, მაგისტრატურის მოთხოვნებს და ეხმიანება პროგრამის სპეციფიკას. პროგრამის ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს თითოეულ მაგისტრანტს შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სამეცნიერო ხელმძღვანელით, რომლის სამეცნიერო საქმიანობა შეესაბამება მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას და მიმართულებას.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/პედაგოგი (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი), ემერიტუსი, სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტის/ცენტრის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება/მემორანდუმი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვისათვის მომზადებას.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**17**	**17**	**15**
- პროფესორი	9	9	9
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი	2	2	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად ადმინისტრაციის მიერ გამოიკვეთა დაწესებულების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება - უნივერსიტეტში ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა. ადმინისტრაციის განცხადების თანახმად, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებას. სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს უდასტურდება საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით

დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პირების სამეცნიერო მრავალფეროვანი აქტივობები, ფორუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობის ჩათვლით.

დაწესებულება ახორციელებს ადამიანური რესურსის პროფესიული საქმიანობის შეფასებას რამდენიმე მიმართულებით, ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეკრება და შეფასება; ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები (სტუ-ს რექტორის ბრძანება 19.11.2019 № 01- 09-10/273 „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“), რომელთაც ევალებათ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება.

ფარმაციის დეპარტამენტში ბოლო 5 წლის განმავლობაში მომზადდა და გამოიცა 5 სახელმძღვანელო, 3 მეთოდური მითითება, 11 ელექტრონული სასწავლო კურსი, 4 მონოგრაფია, 45 სამეცნიერო შრომა.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის „აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება დარგის თემატიკის გათვალისწინებით“ შესრულება, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (პერსონალის CV და სერტიფიკატებით) პერსონალის სხვადასხვა აქტივობები მიეკუთვნება რეკომენდაციის გაცემამდე (30/03/2021) წინა პერიოდს, ამდენად, სასურველია აღნიშნული დოკუმენტების განახლება და გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგ-კურსების ასახვა. ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფი შენიშნავს, დაწესებულების მიერ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გაცნობის მიზნით პერსონალის დამატებით გადამზადების მიზანშეწონილობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გაცნობის მიზნით პერსონალის დამატებით გადამზადება.
- პერსონალის CV და შესაბამისი მტკიცებულებების განახლება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების მიხედვით პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თვითშეფასებაში ასევე აღნიშნულია რომ სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის 64% 2010-2021 წლებშია გამოცემული. ამდენად, სილაბუსებსა და შესაბამისად ბიბლიოთეკაში საჭიროა როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოების უახლოესი გამოცემებით ჩანაცვლება.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, გამოყოფილია სტუ მე -2 სასწავლო კორპუსი, რომელიც უზრუნველყოფილია აუდიტორიებით, სასწავლო ლაბორატორიები აღჭურვილია საჭირო ხელსაწყო-დანადგარებით, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია „რეკომენდებულია, მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების პროცესის გაგრძელება/ეფექტურობა“ საანგარიშო პერიოდში გარკვეულწილად შესრულებულია, ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები და ტექნიკური აღჭურვა, შეძენილია სხვადასხვა დასახელების ინვენტარები, აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც. თუმცა საჭიროა ამ პროცესის გაგრძელება და ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება მუდმივ რეჟიმში. ინტერვიურების პროცესში პროგრამაში ჩართული და დაინტერესებული მხარე აღნიშნავს არსებული ლაბორატორიული ბაზის განახლების აუცილებლობას.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. პრაქტიკის ობიექტებთან (შპს ,,აფთიაქი 34“, შპს „ავერსი-ფარმა“, სს გეფა, შპდ „იბერიფარმა +“, შპს აფთიაქი კრწანისი, შპს ნატუროპათი, შპს „ჰსპ ფარმა“) გაფორმებულია ხელშეკრულებები და მემორანდუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუ- ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://gtu.ge/bef/Resources/Library.php ;
- სტუ-ს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი http://gtu.ge/Library/;
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები პრაქტიკის ბაზებთან;
- ვიზიტის ფარგლებში ადგილზე დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ბიბლიოთეკისა და სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების უახლოესი გამოცემებით განახლება;
- რეკომენდირებულია პროგრამის ინფრასტრუქტურისა და არსებული ლაბორატორიული ბაზის განახლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაციის“ ბიუჯეტი გათვლილია 21 მაგისტრზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 47250 ლარს; შრომის ანაზღაურება შეადგენს 33741 ლარს; სხვა ხარჯები კი 41000''. პროგრამის განვითარების ფონდია 30 %. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ ფინანსური ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამა საჭიროებს დოტაციას დაწესებულების ბიუჯეტიდან, აღნიშნული ინტერვიურების პროცესში დაადასტურა დაწესებულების ადმინისტრაციამ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი;
- ინტერვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომლის თანახმად, ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება, სხვ.) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ს სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე.წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები, ისე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები. ხარისხის მართვის პოლირიკა, ძირითადი მიდგომები და სახელმძღვანელო პრონციპები. ამავე დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მიმდინარე მონიტორინგისა და პროგრამების პერიოდული შეფასების საკვანძო საკითხები. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განვითარება და შეფასება რეგულირდება დოკუმენტით „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“, რომელიც ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს.

ზემოთ მითითებული დოკუმენტების, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ცენტრალური ოფისი) კოორდინირებას უწევს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას, თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი უზრუნველყოფს უშუალოდ ფაკულტეტზე დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის პოლიტიკის იმპლემენტაციას, ორგანიზებას უწევს პროგრაების შეფასებას და თანამშრომლობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლებთან, სამუშაო ჯგუფებთან პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში.

აკრედიტაციაზე წარმოდგენილ „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრამა) პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წელს (გადაწყვეტილება MES 5 21 0000303281, 30/03/2021) და განისაზღვრა შესასრულებელი რეკომენდაციები. მათ შესრულებაზე იმუშავა იმავე ჯგუფკა, რომელმაც 2020 წელს მოახდინა პროგრამის სააკრედიტაციდ მომზადება - პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად: „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ სააკრედიტაციოდ წარდგენის მიზნით დეკანის ბრძანებით (№09.03/26. 01.04.2019) შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი (შემადგენლობა: ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, ფარმაციის დეპარტამენტის უფროსი და აკადემიური პერსონალი, პროგრამის სტუდენტი და კურსდამთავრებული და ერთ-ერთი დარგობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი (დამსაქმებელი). ინტერვიუში მონაწილე თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობა მიმდინარეობდა სამუშაო გეგმის შესაბამისად -

განისაზღვრა მიზნები და ამოცანები, სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის მოხდა პასუხისმგებლობის სფეროების განაწლება და ა.შ.

ინტერვიუს ფორმატში სამუშაო ჯგუფის წვრებმა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნეს, რომ სამუშაო პროცესში ჯგუფმა იხელმძვანელა დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით, მოახდინა გარე შეფასების შედეგების გათვალისწინება, პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელის მხარეების იდენტიფიცირება, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლა და ა.შ. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა: მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან პროგრამისა და მისი კომპონენტების შესაბამისობა; დაწესებულების მისიასთან პროგრამის მიზნების შესაბამისობა; პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობა; პროგრამის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა (განისაზღვრა პროგრამის თითოეული შედეგეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, მათი მონაწილეობის დონე (საფუძვლების შექმნა, გაღრმავება, განმტ-კიცება); პროგრამის გამორციელების უკვე არსებული გამოცდილება; პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება სასწავლო კურსების მიხედვით და პროგრამის დაძლევის მაჩვენებელი; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებები; ანალოგიური პროგრამები; შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები. სამუშაო ჯგუფს, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშისა და მტკიცებულებების მომზადების პროცესში, მხარდაჭერას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელმაც ასევე საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებისა და ტრეინინგების ფორმატში მოახდინა თვითშეფასების ჯგუფის წევრების, აკადემიური და ადმინისტრა-ციული პერსონალისათვის უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციებისა და სტანდარ-ტების, გაცემული რეკომენდაციებისა და დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დეტალური განხილვა (თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობა, მიღებული მხარდაჭერა და ჩატარებული ტრეინინგების და საინფორმაციო შეხვედრების აქტუალობა).

ინტერვიუს ფორმატში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცი-რებისა და შეფასების ეტაპებზე, შესწავლილ პრაქტიკებზე, გამოწვევებზე და მიგნებებზე. აქვე აღსანიშნავია სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციურ დამსაქმებლების მხრიდან მოდიფიცირებული პროგრამის დადებითი შეფასება (მათი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, რაც შეესაბამება მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს).

წარმოდგენილი დოკუმენტების/ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძვლები (მათ შორის, ISO-ს საერთაშორისო სტანდარტი, ESG-2015 სახელმძღვანელო დოკუმენტი და PDCA პრინციპის გამოყენება), რაც უზრუნველყოფს ამ სისტემის მდგრადობას;
- არსებობს ხარისხის მართვის სისტემის შემდგომი განვითარების მზაობა და ამ მიმართულებით უკვე გადადგმული ნაბიჯები (მაგ., ISO-ს სტანდარტის დანერგვა, შიდა აუდიტის მექანიზმების ამოქმედება), რაზეც ინტერვიუს ფორმატში ისაუბრა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა;
- პროგრამის შეფასების პროცესი წარმოადგენს ხარისხის პოლიტიკის ნაწილს, არის გამჭვივალე და გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული გეგმით მიხედვით სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებას;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული პროგრამის მოდიფიცირების და თვითშეფასების პროცესის მხარდაჭერაში, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კონსულტირებასა და ინფორმირებაში;

- პროგრამის მოდიფიცირების და შეფასების პროცესი იყო კომპლექსური და თანამშრომლობითი: პროგრამის მოდიფიცირება უზრუნველყო სამუშაო ჯგუფმა. პროცესი წარიმართა დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების და სამუშაოს სტრუქტურირების გზით. იყო უზრუნველყოფილი როგორც პროგრამის განხორციელებით მიღებული სხვადასხვა მონაცემების შესწავლა, ისე დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების) მოსაზრებების გათვალისწინება და ანალოგი პროგრამების ანალიზი;
- არსებობს როგორც პროგრამის შეფასებისა და განვითარების წესები/პროცედურები/მექანიზმები, ისე პროგრამის შეფასების 3-წლიანი გეგმა, რომელშიც მითითებულია შეფასების ციკლი, მონაცემთა შეგროვების ეტაპები, ამ პროცესში მონაწილე პირები/სტრუქტურული ერთეულები, მიღებულ შედეგებზე რეაგირება და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- „სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) №01-06-02/05, 17.01.2020 დადგენილების დანართი);
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ინფორმაცია თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობის შესახებ;
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - ფარმაცია“;
- პროგრამის კურიკულუმის დანართები „პროგრამის სწავლის შედეგი“, „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა“;
- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ 2021/22 სწ-ის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“;
- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“. სამოქმედო გეგმა (ძირითადი მიმართულებები)“ (დამტკიცებულია ფარმაციის დეპარტამენტი მიერ, ოქმი №9, 19.03.2022);
- გამოკითხვები („ფარმაციის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირთა დასაქმების ბაზრის კვლევა (დამსაქმებელთა მოთხოვნების საგანმანათლებლო პროგრამებისადმი)“, „მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა“);
- აკადემიური მოსწრების შესწავლა (სტატისტიკა);
- „შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების მოთხოვნების ანალიზი“;
- „სამაგისტრი პროგრამის „ფარმაცია“ ანალოგ-პროგრამებთან დადარების დოკუმენტი“ (დამტკიცებულია „ფარმაციის“ დეპარტამენტის სხდომაზე, ოქმი N6, 12.05.2022) - დამატებით წარმოდგენილი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების თანახმად, პროგრამის გარე შეფასებას მიეკუთვნება აკრედიტაციის პროცესში მიღებული შეფასებები. პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2021 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 5 21 0000303281, 30/03/2021). პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და განესაზღვრა რეკომენდაციები, მათი შესრულება განხორციელდა შემდეგნაირად:

#	საბჭოს რეკომენდაცია	რეკომენდაციის შესრულების აღწერა
1.	რეკომენდებულია, საქართველოს განათ-ლების, მეცნიერების, კულტურისა და სპო-რტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების შესაბამისად, კონცენტრა-ციას ჰქონდეს სწავლის შედეგი, რაც, გათვა-ლისწინებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - იხ. პროგრამის კურიკუ-ლუმი („პროგრამის შედეგები“).
2.	რეკომენდებულია, ცალ-ცალკე გაიწეროს/გაიმიჯნოს კონცენტრაციების სწავლის შედეგები	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - იხ. პროგრამის კურიკუ-ლუმი („პროგრამის შედეგები“); დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ფარმაცია“.
3.	რეკომენდებულია, პროგრამის მიზნის ჩა-მოყალიბების დროს გათვალისწინებული იყოს პროგრამაში შემავალი 3 კონცენტრა-ცია, რომლებსაც ექნებათ ნათლად ჩამოყა-ლიბებული მიზნები.	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია სამივე კონცენტრაცია (იხ. პროგრამის კურიკულუმი („პროგრამის მიზნები“). კონცენტრაციებს ცალკე ჩამოყალიბებული მიზნები არ აქვთ.
4.	რეკომენდებულია, სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები შერჩეული და მორგებული იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები.
5.	რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვე-ული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატა-რება დარგის თემატიკის გათვალისწი-ნებით	რეკომენდაციის შესრულება დასტურდება მხოლოდ ინტერვიუს შედეგებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით (პერსონალის CV და სერტიფიკატებით) დასტურდება პერსო-ნალის სხვადასხვა აქტივობები, თუმცა მათი უმეტესობა მიეკუთვ-ნება რეკომენდაციის გაცემამდე (30/03/2021) წინა პერიოდს.
6.	რეკომენდებულია, მატერიალურ/ ტექნიკური ბაზის შევსების/განახლების პროცესის გაგრძელება/ეფექტურობა	რეკომენდაცია გარკვეულწილად შესრულებულია - ამ ეტაპზე რიგ შემთხვევებში სარემონტო სამუშაოები და ტექნიკური აღჭურვა დასრულებულია, რიგ შემთხვევაში კი მიმდინარეობს სარემონტო სამუშაები - დასტურდება ფაქტობრივი გარემოებებით (ვიზუალური დათვალიერება, თვითშეფასების ანგარიშის დანართები - მიღება-ჩაბარების აქტები).
7.	რეკომენდებულია, ბიუჯეტში დეტალუ-რად იყოს გაწერილი განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული/მატერიალური შევსება/განახლების, პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო მუშაობის დანახარჯების მოცულობა	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - იხ. პროგრამის ბიუჯეტი.
8.	რეკომენდებულია, თვითშეფასების ჯგუფს დაემატოს დამსაქმებელი	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - იხ. თვითშეფასების ანგა-რიში (სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა). ასევე, რეკომენდაციების შესრულება დასტურდება ინტერვიუს შედეგებით.

9.	რეკომენდებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეფასდეს კონცენტრაციების მიხედვით;	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - იხ. დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება. ფარმაცია“ (გვ. 9-11, პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნების რუკა; გვ. 18-32, პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები; გვ. 35-37, პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნული)
10	რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური შეფასება, რათა გამოკვეთილ იყოს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელთა გამოსწორებაც იქნეს შემდგომში მიზნად დასახული	რეკომენდაცია გათვალისწინებულია - იხ. „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ 2021/22 სწ-ის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში; გამოკითხვები; „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“. სამოქმედო გეგმა (ძირითადი მიმართულებები)“ (დამტკიცებული ფარმაციის დეპარტამენტის სხდომაზე, ოქმი N9, 19.03 2022). ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი გამოყენებით პროგრამის შეფასების შესახებ პროგრამის პერსონალის ინფორმირება დასტურდება ინტერვიუს შედეგებით
11	ჩამოყალიბდეს და დეტალურად გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომებს პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოიყვანს	რეკომენდაციის შესრულების მიზნით ახალი მექანიზმების შემუშავებული არ არის - დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2020 წელს (რეკომენდაციის გაცემამდე, 30/03/2021 წლამდე) დამტკიცებული და დღეისათვის მოქმედი დოკუმენტები - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133; „მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა“, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 1); „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 2); „მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია“ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 3).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, გარკვეული ნაწილი შესრულების პროცესშია (მოიაზრება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა), ნაწილი კი გაზიარებული არ არის. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი და გაზიარებული როგორც აკრედიტაციის საბჭოს, ისე დამსაქმებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ გაცემული რეკომენდაციები. დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება დადასტურდა მათთან ინტერვიუს დროს - პროგრამა დადებითად შეაფასეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა (დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა), რომლებმაც აღნიშნეს, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხორციელდა მათი რეკომენდაციების (ეხებოდა პრაქტიკული უნარების გაძლიერებას) და პროგრამისთვის მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება, რაც წარმოადგენს მათ მიერ პროგრამის დადებითად შეფასების საფუძველს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 5 21 0000303281, 30/03/2021;
- პროგრამის კურიკულუმი და პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ფარმაცია“
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV და სერტიფიკატები;
- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ 2021/22 სწ-ის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- გამოკითხვები;

- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“. სამოქმედო გეგმა (ძირითადი მიმართულებები)“ (დამტკიცებული ფარმაციის დეპარტამენტის სხდომაზე, ოქმი N9, 19.03 2022);
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133; „მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა“, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 1);
- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 2);
- „მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია“ (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 3).
- ფაქტობრივი გარემოებები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალისერება);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სრულად მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ (გადაწყვეტილება MES 5 21 0000303281, 30/03/2021) განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ პერიოდულად პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობის შენარჩუნებას და განვითარებას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შეფასების პროცესს არეგულირებს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათ-ლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი). ასევე, გამოიყენება პროგრამის მიზნებისთვის შემუშავებული „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. ფარმაცია“.

ინტერციში მონაწილე პირებმა (პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) აღნიშნეს, რომ იქმნება

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კომისია, რომელიც შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსების სილაბუსებს, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, სავალდებულო ლიტერატურა). ასევე, შესწავლის საგანია პროგრამის ადამიანური რესურსი, პროგრამის განხორციელების პროცესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, პროგრამის დაძლევის (დასრულების) მაჩვენებელი და ა.შ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, ახალ მექანიზმს წარმოადგენს სამიზნე ნიშნულების გამოყენებით პროგრამის დაძლევის (შედეგების მიღწევის) დადგენა.

პროგრამის შეფასების მექანიზმებში მოიაზრება პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმებით, პროგრამის შეფასება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის ათვისების შედეგების შედარება), აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება და სხვ. შეფასების პროცესის ეტაპები და პერიოდულობა განისაზღვრება წინასწარ შემუშავებული 3-წლიანი შეფასების გეგმით, რომელშიც განსაზღვრულია შემოწმების ეტაპები, პერიოდულობა, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულიები/პირები და ა.შ. პროგრამის შეფასებისა და განხითარების პროცესის მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა სხვადასხვა გამოკითხვები (პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა), რაც დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე გასაუბრების შედეგებით. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმნტებით დასტურდება გამოკითხვების ჩატარების ფაქტი, თუმცა შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება როგორი იყო გამოკითხვების შედეგებზე რეაგირება (რა იყო იდენტიფიცირებული როგორც გასაუმჯობესებელი მხარეები, რა დაიგეგმა და განხორციელდა პროგრამის განვითარების მიზნით). ინტერვიუში მონაწილე პირებმა (მაგ., თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა) აღნიშნეს, რომ გამოყენებულ იქნა შრომის ბაზრის კვლების შედეგები; წარმოდგენილ დოკუმენტთან „შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი“ დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად შესაძლებელია მისი გამოყენება დარგში არსებულ მოთხოვნების გამოყენების მიზნით. თუმცა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალის-წინებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ინტერვიუში მონაწილე პირებმა (სტუდენტები, კურს-დამთავრებულები, დამსაქმევლები) ადასტურებდნენ, რომ ძირითადი მოთხოვნა იყო პრაქტიკული უნარების გაძლიერება და ეს იყო გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში.

ინტერვიუს ფორმატში პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გარდა ზემოთ მითითებული მექანიზმებისა, პროგრამის სრულყოფის მიზნით განხორციელდა როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების ანალოგი პროგრამების შესწავლა. ვიზიტის დროს დაწესებულებას ეთხოვა აღნიშნულის ამსახველი დოკუმენტის წარდგენა. წარმოდგენილი „სამაგისტრო პროგრამის „ფარმაცია“ ანალოგ-პროგრამებთან დადარების დოკუმენტის“ (დამტკიცებულია „ფარმაციის“ დეპარტამენტის სხდომაზე ოქმი N6 , 12.05.2022) თანახმად, პროგრამის მონიტორინგისა და განვითარების პროცესის ფარგლებში მოხდა სამაგისტრო პროგრამის „ფარმაცია“ დადარება უცხოური ისეთი უნივერსიტეტების პროგრამებთან, როგორებიცაა: Vilniaus universitetas / Pharmaceutical Chemistry - Pharmaceutical analysis; University of Helsinki / Master in Pharmaceutical Research, Development and Safety; Egas Moniz School of Health & Science / Integrated Master in Pharmaceutical Science. მითითებულ დოკუმენტში განხილულია როგორც ამ უსდ-ების პროგრამები, ისე მათთან „ფარმაციის“ პროგრამის თანხვედრა.

შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ: 1) 2021-2022 პერიოდში დაწესებულების მიერ გამოყენებულ იქნა პროგრამის შეფასების რელევანტური მექანიზმები (დასტურდება დოკუმენტურად, ინტერვიუს შედეგებით); 2) პროგრამა არის აქტუალური დაინტერესებული მხარეებისთვის და მათ მიერ დადებითადაა შეფასებული (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - ფარმაცია“;
- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ 2021/22 სწ-ის შემოდგომის სემესტრის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“;
- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“. სამოქმედო გეგმა (ძირითადი მიმართულებები)“ (დამტკიცებულია ფარმაციის დეპარტამენტი მიერ, ოქმი №9, 19.03.2022);
- გამოკითხვები („ფარმაციის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირთა დასაქმების ბაზრის კვლევა (დამსაქმებელთა მოთხოვნების საგანმანათლებლო პროგრამებისადმი)“, „მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა“);
- აკადემიური მოსწრების შესწავლა (სტატისტიკა);
- „შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების მოთხოვნების ანალიზი“;
- „სამაგისტრი პროგრამის „ფარმაცია“ ანალოგ-პროგრამებთან დადარების დოკუმენტი“ (დამტკიცებულია „ფარმაციის“ დეპარტამენტის სხდომაზე, ოქმი N6, 12.05.2022) - დამატებით წარმოდგენილი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია ჩატარებული გამოკითხვების (დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლის) შედეგები იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომელშიც იქნება იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები, გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები და სხვ.;
- მიზანშეწონილია, რომ შრომის ბაზარის კვლევის დოკუმენტის მეშვეობით იყოს შესაძლებელი პროგრამის განვითარებისთვის გასათვალისწინებელი ასპექტების დადგენა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„ფარმაცია“, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე ფხაკაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა ია ფანცულაია



სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა მირანდა ნონიკაშვილი